1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი (კომპანია) დარეგისტრირებულია მისამართზე: თბილისი, პეკინის გამზ., 27.

შპს დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის 50%-ის წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე მალხაზ ხურციძე (პირადი ნომერი 17001000506) და 50%-ის წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე გიორგი გოცირიძე (პირადი ნომერი 01008010436).

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 47 თანამშრომელს (2019: 47).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად).

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის ფინანსური ანგარიშგების კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 21-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 01 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2018 წელს, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა კომპანიის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 01 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

განმარტებების ინიციატივა (განახლებები ბასს 7-ში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება).

ბასს 7-ში შეტანილი განახლებები, რომლებიც 2017 წლის 01 იანვრიდანაა ძალაში, მოითხოვენ განმარტებების წარდგენას ვალდებულებებში ფინანსური აქტივობების შედეგად გამოწვეული ცვლილებების შესახებ. კომპანია აღნიშნულ ცვლილებებს აკატეგორიზებს ფულის მოძრაობიდან ცვლილებებად და არაფულად ცვლილებებად და შემდეგ კიდევ ყოფს ქვეკატეგორიებად, როგორც ამას ბასს 7 მოითხოვს (იხ. შენიშვნა 27).

წლიური განახლებები 2014-2017

2014-2017 წლის განახლებების მიხედვით უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა სხვადასხვა ფასს-ებში. კომპანიასთან დაკავშირებული ცვლილებები შეჯამებულია ქვემოთ:

ფასს 12 "განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ" სტანდარტის მოქმედების სფეროს დაზუსტება.

ფასს 12-ის ცვლილების გამოყენება მოითხოვება რეტროსპექტულად ბასს-8-ის შესაბამისად. სტანდარტები, განახლებები და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში შესული და რომელთა ადაპტირება ჯერ არ მომხდარა კომპანიის მიერ.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, ზოგიერთი ახალი სტანდარტი, შესწორება და არსებული სტანდარტების ინტერპრეტაცია, გამოქვეყნებული ბასსს–ს მიერ, ჯერ არაა ძალაში შესული და მათი ადაპტირება არ მომხდარა კომპანიის მიერ.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაბამისი დებულება იქნება დანერგილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლის შემდეგ პირველივე სააღრიცხვო პერიოდში. ინფორმაცია, ახალ სტანდარტებზე, შესწორებებსა და ინტერპრეტაციებზე, რომლებიც შეესაბამება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, მოცემულია ქვემოთ. სხვა ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოცემულია, მოსალოდნელია, რომ არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის ანგარიშებზე.

ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტები"

საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭომ ბასსს-მ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 "ფინანსური ინსტრუმენტებ"-თან დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები": აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი განსაზღვრება "მოსალოდნელი ზარალი" ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ფასს 9, ასევე გვთავაზობს ახალ სახელმძღვანელო მითითებებს ჰეჯირების აღრიცხვაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ახალი სტანდარტი მოთხოვნის მიხედვით, გამოყენებული უნდა იყოს საანგარიშო წლის დასაწყისში ან 2019 წლის 01 იანვრის შემდეგ.

ფასს 15 "ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან"

ფასს 15 წარმოადგენს ახალ მოთხოვნას ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით და იგი ანაცვლებს ბასს 18 ამონაგებს, ბასს 11 სამშენებლო კონტრაქტებს და რამდენიმე ამონაგებთან დაკავშირებულ სტანდარტებს. ახალი სტანდარტი აყალიბებს კონტროლთან დაკავშირებული ამონაგების აღიარების მოდელს და იძლევა სახელმძღვანებულ მითითებეს სხვადასხვა სფეროებზე, რომლებიც არსებულ ფასს-ებში არ იყო დეტალურად განხილული, მათ შორის, როგორ აღირიცხოს ბუღალტრულად მრავალპროფილიანი ვალდებულებები, ცვალებადი ანაზღაურება, ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულებები, შესყიდვა დაბრუნების უფლებით და სხვა მსგავსი კომპლექსური საკითხები.

ფასს 15 ძალაში შესულია 2018 წლის 01 იანვრიდან. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

ფასს 16 "იჯარა"

ფასს 16 წარმოადგენს ახალ მოთხოვნებს იჯარის აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 16 მოითხოვს იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი "გამოყენების უფლებით" და საიჯარო ვალდებულება.

ფასს 16 ასევე:

- ცვლის იჯარის განმარტებას;
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, ასევე რთული საკითხები, როგორებიცაა არასაიჯარო ელემენტები, ცვლადი იჯარის გადასახადები და იჯარის (გამოყნების) ვადა;
- ითვალისწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე;
- ცვლის აღრიცხვას გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებებზე;
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას;
- გვაცნობს ახსნა განმარტებითი შენიშვნების ახალ მოთხოვნებს.

ფასს 16 ძალაში შევიდა 2019 წლის 01 იანვრიდან. სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ფასს 15 "ამონაგები

მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან." ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია ამ ცვლილების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

მიუხედავად ამისა, კომპანია ამზადებდა გარკვეულ ფინანსურ ინფორმაციას შვილობილი კომპანიის კონსოლიდაციის მიზნებისთვის, რომელიც წინა წლებში წარმოადგენდა ფასს-ების მიხედვით მომზადებულ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

მომსახურების გაწევისთვის, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთნ დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

სპეციალური დანადგარები და მოწყობილობები - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მოსახურების ვადას შორის უმცირესი.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 იჯარა

ბასს 17 იჯარის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს

ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდლეებს გამოკლებული საპროცენტო დანახაარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შეფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები;
- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში. იხილეთ შენიშვნა 21.2 კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად "ფინანსური ხარჯი", "ფინანსური შემოსავალი" ან სხვა "ფინანსური ხარჯი", გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა არასაოპერაციო ხარჯების სახით.

i სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების

რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში.

ii ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილების ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არააქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 21.2 შენიშვნაში.

i სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში

ii სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება აქტივევს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო პერიოდში რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით, ფასდება გაუფასურების მაჩვენებლებზე. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

სავაჭროდ გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

სავაჭროდ გამიზნული ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, რეალური ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ

შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება. გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად

გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.12 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.13 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისიი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4 ძირითადი საშუალებები

01.01.2020 მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენდა სულ 1143597 ლარს, ხოლო 01.01.2021 მდგომარეობით - 1160497 ლარს.

5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის კუთვნილი არამატერიალური აქტივები შეესაბამება მისი საქმიანობის გახორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებულ პროგრამულ უზრუნველყოფას.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. არცერთი სავაჭრო

და სხვა ვალდებულება არ არის 365 დღეზე მეტი ხანდაზმულობის. კომპანიის მენეჯმენტს არ შეუქმნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხი, რადგან ისტორიულად არ დამდგარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შედეგი ან მოვენა, რომელიც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

7 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

2020 წლის 31 დეკემბერი

საბანკო ანგარიშები -343914 ლარი

ნაღდი ფული სალაროში - 3466 ლარი

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

8 კაპიტალი და რეზერვები

8.1 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს, რაც სრულად ფულადი სახით იყო შევსებული.

8.2 დივიდენდები 2020 წელს განმავლობაში გადახდილი იყო 784444 ლარის ოდენობის კომპანიის მფლობელებისათვის.

9 სესხები

მიმდინარე 2020 წლის 31 დეკემბერი

საბანკო სესხების მოკლევადიანია, საბანკო სესხები გაიცემა გენერალური საკრედიტო ხაზის შეთანხმებების ფარგლებში. სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათი სამართლიან ღირებულებას.

10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბერი

სავაჭრო ვალდებულებები - 79356 ლარი

ვალდებულებები პერსონალის მიმართ - 0 ლარი

საგადასახადო ვალდებულებები - 0 ლარი

2 გადასახდელი დივიდენდები

ცვლილება მოგების გადასახადში 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც გავლენას ახდენს მოგების გადასახადის გაანგარიშებაზე. აღნიშნული ცვლილების შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები

დაიბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). შესწორებული საგადასახადო კონცეფციის თანახმად, არ არსებობს დროებითი სხვაობა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო საფუძველს შორის. ცვლილებამ დაუყოვნებელი გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც მიეკუთვნება წინა პერიოდებს. კომპანიამ ახლიდან გადათვალა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და მთლიანად გაანულა გამოუყენებელი გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებებისგან.

19 საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშის წარდგენის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

20.1. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი მენეჯმენტმა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო

განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

20.2. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჟა გააგრძელებს ზრას და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

21. ფინანსური ინსტრუმენტები

21.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

21.2. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

სესხები და მოთხოვნები:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე -

ფინანსური ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული:

სესხები - 55400 ლარი

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები - 215815 ლარი.

ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს.

კომპანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა. კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია კომპანიის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

მუხლი

2020 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -

ფული და ფულის ექვივალენტები -

სულ ფინანსური აქტივები -

ფინანსური ვალდებულებები

სესხები -

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -

სულ ფინანსური ვალდებულებები -

23. რეალური ღირებულების გაზომვა

კომპანია ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხულია რეალური ღირებულებით და ამოსავალი მონაცემები 1-3 დონეებად იყოფა. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- 1-ლი დონე – რეალური ღირებულება განსაზღვრულია იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- მე-2 დონე - რეალური ღირებულება განისაზღვრება მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემით, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- მე-3 დონე – რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს აქტივების და ვალდებულებების შესახებ არაემპირიულ მონაცემებს, (არადაკვირვებადი მონაცემები).

23.1. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება დაახლოებულია რეალურ ღირებულებასთან.

24. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება:

საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებიც განხილულია შენიშვნა 10-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს.

25. გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1. ბიზნეს გარემო საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებეს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე. იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვევლობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა. მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

25.2. დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს მის ოპერაციებთან დაკავშირებულ ობიექტებს, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. მანამ სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

25.3. გადასახადები საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს. ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოსი, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლბის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

25.4. გარემოს დაცვა საქართველოში

გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

26. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგებისათვის, ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე

27. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეები არ გააჩნია.

28.1. მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანიას არ გააჩნია.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	347380	1268665	244537
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	79356	226800	256060
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	88215	144126	50043
მარაგები	32219	32219	28868
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	32219	32219	28868
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	394303	131045	330685
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	1160497	1143597	1085480
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2101970	2946452	1995673

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	215815	171545	179003
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	55400	36300	120639
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	204714	48576	455462
სულ ვალდებულებები	475929	256421	755104

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1624041	2688031	1238569
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1626041	2690031	1240569
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2101970	2946452	1995673
სულ მოკლევადიანი აქტივები	941473	1802855	910193
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2020**	**31/12/2019**
ნეტო ამონაგები	1752833	5905437
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1752833	5905437
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	-182337
საწყისი მარაგები	0	-28868
მარაგების შესყიდვა	0	-185688
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	32219
საერთო მოგება	1752833	5723100
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1331	13207
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1611472	-1609206
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	0	0
საპროცენტო შემოსავალი	0	571
საპროცენტო ხარჯი	-2191	-6164
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-337597	-4101295
სულ საოპერაციო ხარჯები	-1949929	-5702887
საოპერაციო მოგება	-197096	20213

გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:

ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	26950	-535
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-170146	19678
მოგების გადასახადის ხარჯი	-109400	-19678
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-279546	0

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-279546	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2690031	1240569
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-784444	-452052
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	1901514
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1626041	2690031

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-316559	1898754
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-15791	-52021
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-588935	-822605
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-921285	1024128
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1268665	244537
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	347380	1268665